საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/137 „15" ოქტომბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. ქადაგიძის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთაგან 4 წლის ვადით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის თაობაზე საკითხის განხილვისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების: ირაკლი ბონდარენკოს, დიმიტრი გვრიტიშვილის, გიორგი მიქაუტაძის, რევაზ ნადარაიას, თამარ ონიანისა და ირაკლი შენგელიას მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად დასახელებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო ქადაგიძის კანდიდატურა. კენჭისყრისას ნინო ქადაგიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13-მა წევრმა.

აღნიშნულის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე არჩეულ იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ 2020 წლის 15 ოქტომბრიდან, 4 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი